12 ივლისი – პეტრე-პავლობა

გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13(27) 2012 წ. 1-15 ივლისი ფასი 50 თეთრი

ნანი უნაფქოშვილმა ამჯერად 20 წლიანებში იზეიმა საქართველოს ჩემპიონობა

ივლისის დასაწყისში თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ საქართველოს პირველობაში, ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, 20 წლის ასაკის მოჭადრაკეებში, მორიგ წარმატებას მიაღწია საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელმა, მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებულმა, საქართველოს შარშანდელმა 18 წლამდელთა ჩემპიონატის მესამე და 16 წლამდელთა მეორე პრიზიორმა ნანი უნაფქოშვილმა.

ამ დღეს გამართულ შეხვედრაში ჩვენმა მოჭადრაკემ, შავი ფიგურებით დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე დეა გოგიშვილი და რვა შესაძლებლობიდან 7 ქულით პირველობის სხვა მონაწილეთათვის მიუწვდომელი გახდა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ნანიმ ეს წარმატება თავისი დაბადების დღეს დაამთხვია – 5 ივლისს მას დაბადებიდან 17 წელი შეუსრულდა. ამ მიღწევით ნანიმ სრული უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო პირველობაში, რომელიც ახლო მომავალში საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართება.

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველის სახელით ვულოცავთ ნანის დაბადების დღესა და მორიგი ჩემპიონის ტიტულს. ვუსურვებთ, რომ თავისი ყოველი მომავალი დაბადების დღე ჩემპიონობით აღენიშნოს, მანამდე კი ათენშიც ამაღლებულიყოს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე!

დიდებულნი და ყოვლადქებულნი თავნი მოციქულთა

პეტრე და პავლე

კობა მჭედლიშვილი — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში

ეს ტიტული ჩვენმა კაკაბეთელმა ძიუდოისტმა ივნისში მონტენეგროს ქალაქ ბაარში გამართულ ჭაბუკთა (1996-1997წწ) ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ჩემპიონატში კობა მჭედლიშვილის (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) გარდა, საქართველოს სპორტულ ღირსებას კიდევ სამი საგარეჯოელი ძიუდოისტი იცავდა, მაგრამ მათგან მხოლოდ მან შეძლო გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ამაღლება და 60 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

ამ ტიტულისაკენ მიმავალ გზაზე კობას 5 შეხვედრის გამართვა მოუხდა. პირველში იგი ისვენებდა, მეორე შეხვედრაში კი დაჯაბნა შვედი მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ სძლია ფრანგ და რუს მეტოქეებს. ნახევარფინალურ შეხვედრაში მან ასევე დაამარცხა სერბი მოწინააღმდეგე და ფინალში შეხვდა ბელორუსიის წარმომადგენელს – მოსწავლეებში შარშანდელ ოლიმპიურ ჩემპიონს მილკოვს. მილკოვის სამწუხაროდ, კობას წინააღმდეგ ბრძოლაში ვერც ტიტულმა უშველა და ვერც გამოცდილებამ და დამარცხებულმა დატოვა ტატამი.

ჩვენს კაკაბეთელ ევროპის ჩემპიონს ვულოცავთ ამ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალში უფრო მეტი მიღწევებით გაეხარებინოს ქართველი და საგარეჯოელი გულშემატკივრები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2012 წლის 10 ივლისის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი უძღვებოდა.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების მანავის, ლამბალოსა და თულარის დამისამართების“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

სხდომის მონაწილეებმა ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სოფლის მეურნეობა

ფერმერის, მომავალი ფერმერი

თანამედროვე ტექნოლოგიები კახეთში

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დასანერგად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბოლო ხანს კახეთში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მხარის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, რაზეც პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული აქაური მოსახლეობის კეთილდღეობის და ეკონომიკური დონის ამაღლება. ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების საჯაროობისა და მოსახლეობისათვის გაცნობის საქმესაც. ამ მიზნით აგერ უკვე რამდენი ხანია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით და მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვისაც ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის პროგრამას. კახეთში განხორციელებული პროექტების გაცნობა-დათვალიერებას.

– სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის პროგრამა, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა* ალექსანდრე შათირიშვილმა, ითვალისწინებს ამ თანამედროვე ტექნოლოგიების დათვალიერება-გაცნობას, რომ ჩვენს მიწათმოქმედებსა და ამ დარგში დასაქმებულ მოსახლეობას შეექმნას მათ შესახებ წარმოდგენა და გაუჩნდეთ ანალოგიური ტექნოლოგიების შექმნა-დანერგვის სურვილი. ეს პროგრამა მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. მისმა პირველმა ეტაპმა უკვე მოიცვა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის მოსახლეობა, დაწყებული მაღალმთიანი და ბარის სოფლებით და ქ. საგარეჯოთი დამთავრებული. ამ მგზავრობისას მათ გიდობას უწევენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული გამყოლები, ურიგდებათ სხვადასხვა ლიტერატურა. სპეციალურად ფერმერებისათვის შედგენილია ფერმერის სახელმძღვანელო. სულ ამ პროგრამაში I ეტაპზე მუნიციპალიტეტის 300-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის II ეტაპი და მასში 400 კაცზე მეტია გავლილი. II ეტაპის შემდეგ დაგეგმილია ანალოგიური III ეტაპის ჩატარება, რაც მთლიანად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ფინანსდება.

რაც შეეხება დასათვალიერებელ პროექტებს, ესენია: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამით დაფინანსებული კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ და მის ბაზაზე შექმნილი პროფესიული სწავლების ცენტრი, 2009 წელს საქართველოში დაფუძნებული ქართულ-თურქული კომპანია „ჯეოლაივის“ კუთვნილი ზეთისხილის პლანტაციები სოფელ საქობოში, წნორის ცხოველთა განაყოფიერების ცენტრი, ლაგოდეხის მარცვლეულის შესანახი ცენტრი, მელაანის შპს „მექანიზატორის“ საწარმო ეზო და ტექნიკა.

კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ განთავსებულია სპეციალურ კომპლექსში, რომელსაც 12 ჰექტარი უკავია. აქვს 4 ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო, საერთო საცხოვრებელი კორპუსი და ღვინის სახლი. კოლეჯი წარმოადგენს თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ (ყოფილი კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი), ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ფინანსდება საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ.

კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: საბიუჯეტო სექტორზე: გიდი, ტუროპერატორი, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მეღვინე, მევენახე, მეფუტკრე, ვეტმომსახურების სპეციალისტი, ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი, მზარეული, მეხილე, მომპირკეთებელი, მებათქაშე, დურგალი, ელექტრიკოსი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი, ტრაქტორის მემანქანე, ფარმაცევტის თანაშემწე.

საბიუჯეტო ფასიან სექტორზე: კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი, დეკორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, თექის ხელოსანი, ექთნის თანაშემწე. პროფესიული სწავლის ცენტრის ბაზაზე გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გახსნილია ფერმერთა მომსახურების (ექსტენციის) ცენტრი. ცენტრის მიზანია ფერმერებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის პროდუქტიულობასა და წარმოებისა და შესაბამისად შემოსავლების ზრდას. ამისათვის აქ ადგილზე ჰყავთ შესაბამისი კადრები. იწვევენ მოწინავე მეცნიერ-კონსულტანტებს. პროფესიული კოლეჯის ბაზაზე ფუნქციონირებს ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, ვეტერინალური მომსახურების პუნქტი, ხის გადამამუშავებელი საწარმო, ღვინის სახლი, ავტოსარემონტო სახელოსნო, აგროტურიზმის ცენტრი, სადაც მსმენელები გადიან პრაქტიკულ მომზადებას. დამატებით შპს „მექანიზატორსა“ და კოლეჯს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს ტრაქტორისტ-ოპერატორების მომზადება. თეორიული სწავლება კოლეჯში მიმდინარეობს, პრაქტიკული მეცადინეობა მექანიზაციის სერვის-ცენტრში, რომელიც მელაანშია განთავსებული. კოლეჯის წარჩინებულ სტუდენტებს აქვთ სამუშაო ადგილებზე დასაქმების შანსი.

2009 წელს საქართველოში დაფუძნდა ქართულ-თურქული კომპანია „ჯეოლაივი“, რომლის მთავარი მისიაა საქართველოში ზეთისხილის კულტურის პოპულარიზაცია და მისი საწარმოო მასშტაბებით გაშენება. კომპანიის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (ქართლში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში) შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთები და მომზადდა ზეთისხილის სადემონსტრაციო პლანტაციები. კახეთში ამ მიზნით შეირჩა საქობოს ტერიტორია, სადაც ეს უკვე მესამე წელია რამდენიმე ჰექტარზე გაშენდა ეს კულტურა. საშუალოდ 1 ჰექტარზე ირგვება 500-550 ნერგი. კვების არე 6X3, 6X4, 5X4, და 5X5-ზეა. ნერგი ირგვება ნოემბრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით. ნერგს დარგვიდან 2 წლის განმავლობაში სჭირდება გასხვლა, რომ სიმაღლეში ძალიან არ გაიზარდოს. ზეთისხილი მოსავალს იძლევა დარგვიდან მე-5-7 წელს. 7-10 წლის ხე იძლევა 50 კგ-მდე ნაყოფს. ნაყოფი გამოიყენება როგორც საკვებად, ისე ზეთის მისაღებად. 1 ლიტრი ზეთის მისაღებად საჭიროა 4-5 კგ ნაყოფი. ზეთისხილი უძლებს 7-9 გრადუს ყინვას. ზეთისხილი საქართველოსთვის უცხო კულტურა არაა. გასაბჭოებამდე კახეთში ჰქონიათ მისი პლანტაციები. მცენარე ნიადაგისადმი დიდ მოთხოვნებს არ აყენებს. მისი გაშენება შეიძლება ნაკლებად ნაყოფიერ ქვიან ნიადაგებზე. უახლოეს მომავალში იგეგმება ზეთისახდელი ქარხნის მშენებლობაც, რომელიც გადაამუშავებს საქართველოში წარმოებულ ზეთისხილს. ყოველივე ეს პირველ რიგში ჩაანაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას და ზეითუნის ზეთს. ფერმერებს კი შეეძლებათ მიიღონ შემოსავლის ალტერნატიული წყარო.

ორგანიზაცია „კავკასიის გენეტიკა“ დაფუძნდა 2006 წელს და აერთიანებს რძის სექტორის ექსპერტებს, სელექციონერებს და ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებს. დღეისათვის იგი წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მომწოდებელს ხელოვნური განაყოფიერების სფეროში. ასოციაცია აწარმოებს მაღალპროდუქტიული ბუღა-მწარმოებლების ღრმად გაყინული სპერმის იმპორტს აშშ-დან, შვეიცარიიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან და საფრანგეთიდან. ქვეყნის მასშტაბით შექმნილია პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების 22 სერვის-ცენტრი და გადამზადდა 49 პრაქტიკოსი ტექნიკოსი. ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად კავკასიის გენეტიკიდან იყიდება მოწოდებული სპერმის 5000 დოზა.

სანაშენე საქმიანობისა და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის გახსნას მხარი დაუჭირა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და იგი ამჟამად მოიცავს 17 სარძევე და სახორცე ბუღას. სანაშენე ცენტრის მიზანია ადგილობრივი ჯიშის ბუღების – კავკასიური წაბლას, მეგრული წითელის და ქართული მთის საქონლის მოშენება. ცენტრის საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით საქონლის ჯიშების მახასიათებლის გაუმჯობესებას და ჯიშთა სელექციის პროგრამასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ, ტექნიკურ

სოფლის მეურნეობა

და სამეცნიერო პრობლემების გადაჭრას.

ყოველწლიურად ფურების ხელოვნური განაყოფიერებით ფერმერი თანდათანობით მიიღებს გაუმჯობესებული გენეტიკის, მაღალპროდუქტიულ სახორცე და სარძევე სულადობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ფერმერთა შემოსავლების ზრდაზე.

ლაგოდეხის მარცვლეულის შესანახი ცენტრი (მოცულობა 75 000 ტონა მარცვალი) გაიხსნა 2011 წელს. კონკრეტული ადგილმდებარეობა განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ ეს რეგიონი სიმინდის წარმოების აქტივობით გამოირჩევა. გარდა ამისა, ლაგოდეხის ცენტრი ახლოს მდებარეობს აზერბაიჯანის საზღვართან (13,3 კმ), რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს სიმინდის რეალიზაციას მეზობელ ქვეყანაში.

მარცვლეულის შესანახი ცენტრი უზრუნველყოფს მარცვლეული კულტურების მოსავლის პირველად გადამუშავებას, გაწმენდასა და განმარცვლას, წონის გაშრობის დონისა და ხარისხის კონტროლს, შესაბამისი კონტროლით შენახვას, პროდუქციის სტანდარტიზაციას და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას. ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შექმნილი ლაბორატორია. ცენტრი გახდება ერთგვარი ყიდვა-გაყიდვის წერტილი. ის საშუალებას მისცემს მყიდველს შეიძინოს ნებისმიერი ოდენობის პროდუქცია და უზრუნველყოფს სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას. შესანახი ცენტრი სიმინდის და ხორბლის გარდა სხვა კულტურების (მზესუმზირა, სოიო, ქერი, შვრია, სორგო) შესანახადაც გამოიყენება.

პროექტი სოციალურ დატვირთვასაც ატარებს, რადგან ცენტრებში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა (სულ 40 ადამიანი).

მარცვლეულის კონსოლიდაციის ცენტრის გამართული ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები იქნება შემდეგი:

მარცვლეულის ორგანიზებული გასაღების არეალის გაჩენა, მარცვლეულის წარმოების ჯაჭვის გამართული ფუნქციონირება, წარმოების მოტივაციის ზრდა, ხარისხობრივად კლასიფიცირებული და მსოფლიო სტანდარტებზე მორგებული პროდუქციის შექმნა, ფერმერის მიერ მარცვლეულის რეალიზაცია მაღალ ფასად (ფერმერი შეინახავს მარცვლეულს და გაყიდის მაშინ, როცა მაღალი ფასებია).

მომავალში იგეგმება ცენტრის მომსახურების ფასის კიდევ უფრო დაწევა, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ფერმერისათვის.

ეს ობიექტები ელოდება დასათვალიერებლად კახეთში ჩვენი მუნიციპალიტეტის ამ საქმით დაინტერესებულ მოსახლეობას და თუ ვინმეს გაუჩნდება ასეთი სურვილი, შეუძლიათ მიმართონ მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურს ავტობუსის გასვლის გრაფიკის გასარკვევად. შეგახსენებთ, რომ ამ ტექნოლოგიების დათვალიერების და ერთჯერადი კვების მთელ ხარჯებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფინანსებს.

ჩაიწერა გივი დაბახიშვილმა

უდაბნო

დღეს სოფელ უდაბნოზე გვეძნება საუბარი – მის წარსულსა და აწმყოზე, იმაზე, თუ საიდან, როდიდან მომდინარეობს მისი, როგორც გეოგრაფიული ერთეულის საქართველოს ფიზიკურ რუკაზე დამკვიდრება და დღეს ვინ ცხოვრობს იქ, რა საქმიანობას ეწევიან.

ზოგი რამ გარეჯის უდაბნოს ძველი და ახალი ისტორიიდან

ალექსანდრე ელერდაშვილი,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე,

გარეჯის უდაბნოს ტერიტორიული სივრცე პრეისტორიულ ხანაში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-II ათასწლეულებამდე) წარმოადგენდა ფოთლოვანი ტყით დაფარულ ლანდშაფტს. უხვი ნალექების წყალობით წარმოქმნილი ნაკადულები ავსებდნენ ხეობებს და ხმაურით ჩაედინებოდნენ მდინარეებში – მტკვარსა და იორში.

ნაყოფიერ ველებზე ცხოვრობდნენ ამაყი და მებრძოლი ქართველი ტომები – სოჯები და კუხები,რომლებიც აშენებდნენ ქალაქის ტიპის დასახლებებს (ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები), მათი მიწა-წყლის დაპყრობა ვერ შეძლეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში ძლიერი ურარტუს მეფე არგიშტის ძლევამოსილმა მეომრებმაც კი.

გარეჯის ძველქართველმა მცხოვრებლებმა აქ, თავის ღვთივკურთხეულ მიწა-წყალზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულში ააშენეს დიდი ქალაქი იორი, რომელიც წარმოადგენდა ძველი ქართული მეტალურგიის ერთ-ერთ კერას და მთავარ გზაჯვარედინს აზიიდან ევროპაში მიმავალი „აბრეშუმის გზის“ მთავარ გზაზე.

შემდგომ ეპოქაში ბუნების კატაკლიზმებმა, მიწისძვრებმა და კოსმიურმა კატასტროფებმა რადიკალურად შეცვალა გარეჯის აყვავებული ლანდშაფტი და მისი ტყეები, ველ-მინდვრები უდაბნოდ აქცია, აქ მაცხოვრებელი მოსახლეობა აიყარა და უკეთესი სასიცოცხლო პირობების მოსაძებნად სხვაგან გადასახლდა.

ამის შემდგომ პერიოდში კი საუკუნეები მდუმარედ ქრებოდნენ. გარეჯი გარეული ცხოველებისა და ქვეწარმავლების საუფლოდ იქცა. აქ შემთხვევით მოხვედრილ ადამიანებს შიშის ზარს სცემდა უდაბნოს ხორშაკიანი ბუნება, თუმცა ბრძენი ქართველები გარეჯის უდაბნოს აღორძინებულ მომავალს უქადდნენ.

საქართველო კი არსებობდა თავისი დიდი ისტორიით, თავისი დიდი აწმყოთი და მომავლით. გონიერი ქართველები არც გარეჯის უდაბნოს ივიწყებდნენ, სადაც ჩამარხული იყო ჩვენი დიდი წინაპრების ნაოცნებარი წინასწარგანზრახული ჩანაფიქრი.

ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში, კერძოდ, 562 წელს დიდმა ასურელმა განსწავლულმა მამადავითმა, შემდგომში დავით გარეჯელად წოდებულმა სასულიერო მოღვაწემ აქ, ამ ხრიოკ, უწყლო და დაუსახლებელ მთაგორიან მდვიმეებში, თავის თანამოაზრე ლუკიანესთან ერთად დაიდო ბინა, საძირკველი ჩაუყარა დიდ მონასტერს.

გადიოდა წლები, საუკუნეები. გარეჯის უდაბნო ხან შენდებოდა, ხან ურიცხვი მტრების მიერ ინგრეოდა,მაგრამ გარეჯის ქვეყანა არ გამქრალა საქართველოს სამომავლო ასპარეზიდან.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც გადაიჭიმა თითქმის 30 კვადრატული კილომეტრის რადიუსზე, 14 საუკუნე წარმოადგენდა ქართული ცივილიზაციის აკვანს, ქართულ იერუსალიმს, უდიდეს ფეოდალურ სენიორიას, რომელსაც ეკუთვნოდა უდიდესი მამულები.

დავით გარეჯს თავისი არსებობის მანძილზე ჰქონდა როგორც აყვავებაღორძინების, ისე ურიცხვი აგრესორების მხრივ დაცემა-განადგურების ეტაპებიც. ხალხური გადმოცემებით, დიდი თამარ მეფის თანამედროვეს, შოთა რუსთაველს აქ მიუღია დიდი განათლება და თამარ მეფის საპატივცემოდ აქ დაუწერია გენიალური ლიტერატურული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“.

მრავალჭირნახულ დავით გარეჯის მონასტრებისათვის დიდ უბედურებად იქცა 1921 წელი, როცა საბჭოთა რუსეთის ბელადმა ლენინმა ეს წმინდა ადგილები საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა. ახლა ყველა ხელს ადებს ამ დაუჯერებელი დანაშაულის ჩადენაში სერგო ორჯონიკიძეს, მაგრამ ის მხოლოდ ლენინის დავალებას ბრმად ასრულებდა, სინამდვილეში – ქართული ტერიტორიების აზერბაიჯანისათვის, თურქეთისათვის, სომხეთისათვის და რუსეთისთვის გადაცემაში დამნაშავე ლენინი იყო.

ბევრმა არც კი იცის, რომ ლენინი ეროვნებით რუსი კი არა თურქი (ყალმუხი) იყო, რომელიც მხარს უჭერდა თურქ პანთურქისტებს, რომლებიც ლენინს არწმუნებდნენ (კერძოდ, მუსტაფა ქემალ ათათურქი), რომ მათი მიზანია ყველა თურქი გააერთიანონ და შექმნან თურქული იმპერია, რომელიც თავისი შინაარსით სოციალისტური იმპერია იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ ქართული მიწა-წყალი თავისი ისტორიული ძეგლებით გადასცეს ახლადშექმნილ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

იმის შიშით,რომ იმ დროს სასტიკი კომუნისტური ტერორი მძვინვარებდა საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ქართველმა პატრიოტ-მეცნიერმა: ივანე ჯავახიშვილმა, პავლე ინგოროყვამ, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა გაბედეს და სთხოვეს სერგო ორჯონიკიძეს როგორც ქართველს, დავით გარეჯა და მთელი გარეჯის უდაბნო, როგორც ჭეშმარიტად ქართული ტერიტორია საქართველოს ფარგლებში მაინც დაეტოვებინა, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს, ვიდრე ლენინი არ გარდაიცვალა.

ზემოთდასახელებული მეცნიერები და მწერლები ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით კვლავ ეახლნენ სერგო ორჯონიკიძეს და დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ ძლივს დაითანხმეს საბჭოთა ხელისუფლება, რათა დავით გარეჯის მონასტრები მაინც გადმოსცემოდა საქართველოს. ასე, რომ 1924 წლის ნოემბერში ძლივს დაითანხმეს მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება, რათა დავით გარეჯის მონასტრების ნაწილი მაინც გადმოსცემოდა საქართველოს. შეიქმნა შერეული კომისია აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა მთავრობათა წარმომადგენლების შემადგენლობით (ფილიპე მახარაძე, ნარიმან ნარიმანოვი), რომელმაც დაადგინა დროებითი საზღვარი ამ ორ რესუბლიკას შორის, რომელიც მომავალში უნდა გადასინჯულიყო, მაგრამ მაშინდელი საზღვარი დღემდე არსებობს. საზღვრის სადემარკაციო ხაზმა გაიარა იმ მთაზე, რომელზედაც დგას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსების წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძის მიერ 1685 წელს აშენებული კოშკის სამხრეთ მხარეს, საიდანაც წვიმის და თოვლის წყალი, გადაიღვრება დიდი უდაბნოს მღვიმეების მხარეს, სადემარკაციო ხაზმა ისე გაიარა, რომ აღდგომის ეკლესია, ბერთუბნის მონასტერი, დიდი უდაბნო და სხვა მონასტრები, სენაკ-კელიები კვლავ აზერბაიჯანის მხარეს დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ საქართველოში ბობოქრობდა კომუნისტური ტერორი, მაინც იყვნენ მაშინდელ საქართველოს მთავრობაში პატრიოტულად განწყობილი მოხელეები, რომლებიც შიშობდნენ, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, აზერბაიჯანი პრეტენზიებს წამოყენებდა საქართველოს მხარეს – გარერჯის საუკეთესო საზამთრო საძოვრების აზერბაიჯანელი მწყემსებისათვის გადაცემაზე. რის გამოც მაშინდელ საქართველოს მთავრობაში მომწიფდა საკითხი გარეჯის საუკეთესო საზამთრო საძოვრები თვითონ საქართველოს გამოეყენებინა. ამიტომ 1925 წელს გარეჯის მინდორ „ტაირზე“ (ტაირი არაბული სიტყვაა და უდაბნოს ნიშნავს) დაარსეს ჯერ პირუტყვისათვის უხეში საკვების – თივის დამზადების პუნქტი, ხოლო მის ბაზაზე მალე საფუძველი ჩაეყარა მეცხვარეობის მძლავრ საბჭოთა მეურნეობას.

ეს იყო ქართველ პატრიოტთა გაბედული და მამულიშვილური ჩანაფიქრი, რომელსაც მალე ხორცი შეესხა.

უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა დაარსდა 1926 წელს მინდორ „ტაირზე“. მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა დასასაქმებლად სასწრაფოდ დაიწყო მუშათა დაბის მშენებლობა, რომლის უფროსად დაინიშნა სოფელ პატარძეულის მცხოვრები, პროფესიით მშენებელი ტექნიკოსი გიგო ჯიღაური.

გიგო ჯიღაურმა თავისი ტექნიკური ცოდნითა და ორგანიზატორული ნიჭით მოკლე დროში დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრების მიმდებარე „ტაირის“ მინდორზე ააშენა როგორც ბარაკის ტიპის საველე სახლები, ისე სამეურნეო ნაგებობები, სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის, პურის საცხობი (ფურნე) და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, დააგო გზები, ააშენა ცხვრისა და მსხვილფეხა პირუტყვის ბინები, მოაწყო სასმელი და ტექნიკური წყლის მარაგის შემკრები რეზერვუარები. დასახლებიდან 5-6 კილომეტრის მოშორებით აღმოაჩინეს სასმელი წყლის „ბიფსიზის“ წყარო, ასევე კეთილმოაწყო „ჯანგირისა“ და „ყარადუზის“ წყაროები. გიგო ჯიღაურმა თითქმის 20 წელი დაჰყო უდაბნოში და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა. ტრიალ ხორშაკიან მინდორზე სოფელი ააშენა, ხალხი დაასახლა. გიგო ჯიღაური გარდაიცვალა 1945 წელს.

გარეჯის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობას ჰყავდა გამოჩენილი სამეურნეო ხელმძღვანელები – მეურნეობის დირექტორები: კოსტალე აბაშიძე, პეტრე ნუგეშიძე, არჩილ ნატროშვილი, ირაკლი სიფროშვილი, ვახტანგ ხარაშვილი და სხვები.

გასული საუკუნის 50-იან წლებში უდაბნოში დატრიალდა სამარცხვინო ამბავი, რომელმაც მძიმე კვალი დატოვა საგარეჯოს რაიონის ისტორიაში და მისი გახსენება ახლაც უარყოფით ასოციაციებს იწვევს.

თუ დავით გარეჯის უდაბნოში თვით დაბა უდაბნოს დასახლება და აქ არსებული მეცხვარეობის მეურნეობა ნორმალურად ვითარდებოდა, 1958 წლიდან უდაბნო დაღმავალი გზით წავიდა და ლამის მთლიანად წაიშალა თავის ისტორიანად. მხოლოდ საგარეჯოს სადად მოაზროვნე ადამიანებმა იხსნეს სამარცხვინო დასასრულისგან – უფროსი თაობის საგარეჯოელებს ახლაც ახსოვთ ის დრამატული და ნაკლებდასაჯერებელი ტრაგედია, რაც საგარეჯოს თავს დაატეხეს მაშინდელმა პარტიის საგარეჯოს პირველმა მდივანმა და მაშინდელი უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. მათ შორის არსებული კონფლიქტის გამო უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა გამოყვეს საგარეჯოს რაიონიდან და თავისი მიწა-წყლით უდაბნოს მონასტრებიანად შეუერთეს გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის საბჭოთა მეურნეობას.

შესაბამისად დავით გარეჯის უდაბნოს მსოფლიო მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსებიც გამოყვეს საგარეჯოს რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან და მოაქციეს გარდაბნის რაიონის შემადგენლობაში.

მთელი 17 წელი დავით გარეჯა „ტყვეობაში ჰყავდათ“ აზერბაიჯანელ მწყემსებს – გარეჯის მონასტრების დიდებული სამლოცველოები, სატრაპეზოები, საოსტიგნოები და სხვა წმინდა ადგილები ცხვრის ფარის ფარეხებად და მსხვილფეხა პირუტყვის სადგომებად იყო გადაქცეული და შესაბამისად პირუტყვის ნაკელით იყო გადავსებული, ხოლო შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის კედლის მხატვრობა მთლად წაბილწული, ხანჯლების წვერებით და ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებით, ასევე უხამსი წარწერებით იყო წაბილწული. რამდენადაც პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს თუ გამბედავი ქართველი პატრიოტი ხმას ამოიღებდა, პირზე ხელს აფარებდნენ. იმ დიდ ჭირს, რაშიც მაშინდელი დავით გარეჯა იმყოფებოდა, ზედ ერთვოდა გარეჯის ტერიტორიაზე 1942 წლიდან არსებული ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლო საარტილერიო-სატანკო პოლიგონის არსებობა, რომელიც თავისი სამხედრო მანევრების დროს უმოწყალოდ ანგრევდა სასწაულით გადარჩენილ ძეგლებს.

დავით გარეჯის გასხვისებული ძეგლები თავისი ტერიტორიით და დაბა უდაბნოთი დიდი ძალისხმევით დავიბრუნეთ 1975 წლის ივნისში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელი საგარეჯოს რაიონის პარტიის რაიკომის I მდივანს მედეა მეზვრიშვილს. მან ტიტანური შრომა გასწია საგარეჯოს საზოგადოებრიობასთან ერთად დავით გარეჯის ისტორიული ძეგლების გაწმენდა-რესტავრაციის საქმეში, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის აღდგენისა და მთელი უდაბნოს აღორძინების საქმეში.

რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1980 წლის ივნისში შეიქმნა სოფელ უდაბნოს სასოფლო საბჭო. 1980 წლის ნოემბერში მდინარე მტკვრიდან გამოყვანილმა სარწყავმა არხმა მაცოცხლებელი წყალი აპკურა უდაბნოს საუკუნოვან გამოგვალულ მიწას. სოფელში დაიწყო გრანდიოზული მშენებლობები, აშენდა საშუალო სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის, სავაჭრო ცენტრის, კულტურის სახლის შენობები, წამოიწყო მეღორეობის კომპლექსისა და სხვა ობიექტების მშენებლობები. იმ ვარაუდით, რომ მალე გარეჯის უდაბნო მსოფლიო ყურადღრების ცენტრში მოექცეოდა, მაგრამ, მომავლის დიდი გეგმების ხორცშესხმა შეაჩერა 90-იანი წლების პოლიტიკურმა კრიზისმა. ამ საერთო გაუგებრობამ ყურადღების გარეშე დატოვა დავით გარეჯა, რითაც ისარგებლეს ჩვენმა მეზობლებმა და დაიწყეს ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის გადანაწილებაზე ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

№13(27) 2012 წელი, 1-15 ივლისი

უდაბნო

მომავლის იმედით



უდაბნოს რწმუნებული მზევინარ ჯაჭვლიან-კვანჭიანი

დასასრული. დასაწყისი მე-3 გვერდიდან

სოფელ უდაბნოს სულ 31935 ჰექტარი მიწის ფართობი უკავია. აქედან სასოფლო-სამეურნეო მიწას - 27657 ჰექტარი, მათ შორის სახნავს – 699, მრავალწლიან ნარგავებს – 44, სათიბს – 436, საძოვარს კი 26429 ჰა. თავად სოფელი 49 ჰექტარზეა გაშენებული.

უდაბნოში 186 კომლი ცხოვრობს 780 კაცით.

სოფლის რწმუნებულია **მზევინარ ჯაჭვლიან-კვანჭიანი**, რომელიც სოფელზე, მის მოსახლეობაზე, იქ არსებულ პრობლემებსა და საერთოდ სოფლის დღევანდელობაზე გვესაუბრება:

ცნობისათვის: მზევინარ (ლამარა) ჯაჭვლიან-კვანჭიანი წარმოშობით აფხაზეთიდანაა. მისი მეუღლეც – ამირან კვანჭიანი აფხაზეთიდან ლტოლვილია. მათ ოთხი შვილი აღზარდეს – ლილე, დავით, ნინო, მელანო, შესაბამისი უმაღლესი განათლება მისცეს და მათგან სამი დასაქმებულია. დღეს ნაბოლარა – მელანოღაა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი. ერთი წლის წინ ქალბატონი მზევინარი თავისი პროფესიით – ფარმაცევტად მუშაობდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სოფელმა რწმუნებულის კანდიდატად წარადგინა, უარი ვეღარ თქვა – მთელი ენთუზიაზმით შეუდგა სოფლის თავკაცობას და საკმაოდ ნაყოფიერადაც.

სკოლის დირექტორი ნინო საბაძე

რწმუნებულის პირველ ნაბიჯებს დაემთხვა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფლის შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლებზედაც 12985 ლარი უნდა გახარჯულიყო. სასმელი წყალი №1 პრობლემა იყო აქაური მცხოვრებლებისათვის. ქ-ნმა მზევინარმა თავის რამდენიმე თანასოფლელთან და ოჯახის წევრებთან ერთად თითქმის ფეხით შემოიარა სოფელში შემომავალი წყლის სისტემა, შეისწავლა თავიდან ბოლომდე ქსელის პლიუს-მინუსები და მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან რიგ შემთხვევებში დახმარება ითხოვა... თუ სასმელი წყალი ადრე თვეობით არ მიეწოდებოდა სოფელს, დღეს სოფელი აღარ უჩივის სასმელი წყლის უქონლობას. სულ კი 2008 წლიდან 2011 წლის ჩათვლით აქ სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციაზე 77385 ლარი გაიხარჯა.

– ჩვენს სოფელში ცხოვრობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილი –სვანები, კახელები, მეგრელები, ჯავახები, რაჭველები, ინგილოები. ცხოვრობენ ჩართოლანები, გულბანები, გვიდანები, მურჯიკნელები, გობეჯიშვილები, გვარლიანები, კვანჭიანები, ფარჯიანები და ა.შ.

2012 წლის I ნახევარში სოფელს შეემატა 4 ბავშვი.

გვაქვს საბავშვო ბაღი, რომელიც კაპიტალური ნაგებობაა, ოღონდ საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. ამჟამად ბაღში ირიცხება 30 ბავშვი, საბავშვო ბაღს ემსახურება მენეჯერი – ნელი კორძაია, პედაგოგები – ქეთინო ჩოკოშვილი, ქეთინო მაისურაძე. სკოლის მენეჯერია ნინო საბაძე, სკოლას ემსახურება 22 პედაგოგი. გვყავს ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებიც დღეს დამსახურებულ პენსიაზე არიან გასულები – იოსებ უსტარაშვილი, ჟუჟუნა გუჩაშვილი. დღეს მოქმედ პედაგოგთაგან მინდა გამოვყო ნათელა ჩინჩალაძე, რომელიც 35 წელია სკოლას ემსახურება, აქედან 30 წელია უდაბნოს სკოლის პედაგოგია. ნათელა მასწავლებელს სწორედ მაშინ მოუწია აქ საცხოვრებლად გადმოსვლა, როცა აქ უდაბნოს სასოფლო საბჭომ დაიწყო ფუნქციონირება და თითქმის მის თვალწინ გაიარა ახალგაზრდა, ახლიდან სულჩადგმული სოფლის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ოჯახების დაფუძნება.

ნათელა მასწავლებელი არის სულისჩამდგმელი მრავალი საინტერესო ღონისძიებისა, რომელიც სკოლაში ჩატარებულა. ის დღესაც მხნედ ემსახურება უდაბნოს საშუალო სკოლას. ნათელა მასწავლებლის მეუღლე იყო პირველი ადამიანი, რომელიც სოფელ უდაბნოში დაიკრძალა, – ის ნიაღვარმა დიდი მანქანით გაიტაცა, ცდილობდა გადაერჩინა მანქანა, რომელიც უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის იყო, მაგრამ სტიქიას ვერ გადაურჩა.

სკოლა დიდი და კაპიტალურია, მაგრამ საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. სკოლას აქვს დიდი სპორტული დარბაზი, მაგრამ ისიც შესაკეთებელია, აწვიმს, მინები ჩამტვრეულია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგს, რომლებიც მხნედ, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ზრუნავენ და შრომობენ უდაბნოელი პატარების აღსაზრდელად და დასაფრთიანებლად.

ამბულატორია ჯერჯერობით არ გვაქვს. ექიმი ადგილობრივი არ გვყავს. გვყავს მოწვეული ექიმი ნანა კოხტაშვილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საგარეჯოდან ჩამოდის. გვყავს ექთანი მაკა გურჩიანი.

სოფელში ფუნქციონირებს მხოლოდ სკოლა და ბაღი, არც ერთი საწარმო, – ამის თანმდევი ეკონომიური გაჭირვება... სოფელში გვყავს სოციალურად დაუცველი 30-მდე ოჯახი.

ჩვენი სოფლის სიამაყეს წარმოადგენენ ჩვენი ჯარისკაცები, 40 ჯარისკაცი. მათ სასახელოდ იმსახურეს ერაყისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიებში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში. ბევრი მათგანი დღესაც აგრძელებს სამსახურს.

უდაბნოს საამაყო შვილი არის დავით ასუმბანი, რომელმაც არაერთხელ გაახარა ჩვენი ქვეყანა თავისი წარმატებებით სპორტში.

2012 წელს სოფელმა გადაწყვიტა სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხით გაარემონტოს შენობა და ამ შენობაში განლაგდება – ამბულატორია, გამგეობა, საბანკეტო დარბაზი, სპორტული დარბაზი და სილამაზის სალონი. თუ შევძელით ამ საქმის ბოლომდე მიყვანა – ეს იქნება ჩვენთვის, უდაბნოელებისათვის საშვილიშვილო საქმე.

სოფელს ჰყავს მომღერალ ქალთა გუნდი „კასლეთილა“, რომელსაც ხელმძღვანელობს პერსპექტიული ახალგაზრდა ფიქრია მარგიანი. გუნდი შედგება სულ 10 წევრისაგან. მათ გაიარეს სერთიფიცირება და დაიმსახურეს დიდი მოწონება. გუნდმა ივლისში იმოგზაურა პოლონეთში ძველი ხალხური სიმღერების ფესტივალზე.

დიდი იმედი გვაქვს იმის, რომ იქიდანაც ხელდამშვენებულები დაგვიბრუნდებიან. სკოლის შენობაში, რომელსაც მალე გავარემონტებთ, ერთ ოთახს მათაც დავუთმობთ.

საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ გვყავს ულამაზესი ახალგაზრდობა. სიამაყით გეტყვით, რომ ისინი არიან დაუზარელნი – უყოყმანოდ შრომობენ დავით გარეჯის, დოდო გარეჯელის, იოანე ნათლისმცემლის, ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-რესტავრაციაზე. მადლობა უფალს, რომ გვყავს ასეთი ახალგაზრდობა, ვის მხრებზედაც საქართველოს დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობის შენარჩუნების მძიმე ტვირთი დევს.



დეპუტატი მაიზერ გუჯეჯიანი

უდაბნოს დეპუტატია მაიზერ გუჯეჯიანი. დაიბადა 1962 წელს ზუგდიდის რაიონში. 1986 წლიდან ცხოვრობს სოფელ უდაბნოში მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად. პროფესიით უმცროსი აგრონომია. მუშაობდა ამავე სოფლის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ბრიგადირად.

დღეს სოფელში კულტურულ-ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, სადაც ბინას დაიდებს სარიტუალო სახლი. მის რეაბილიტაციაზე 15916 ლარია გამოყოფილი „სოფლის დახმარების პროგრამით. უახლოეს ხანში სოფელში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ბ-ნი გია ჩალათაშვილის უშუალო ჩარევითა და ძალისხმევით ბევრი ისეთი პრობლემა მოგვარდება, რომელიც ჩვენი მოსახლეობისათვის წლების განმავლობაში პრობლემადაა ქცეული. ვნახოთ, აუცილებლად შეგეხმიანებით და მოგითხრობთ ამის შესახებ.

ჩაიწერა თინა ილაურმა

საბავშვო ბაღის მენეჯერი ნელი კორძაია



ზეიმი საბავშვო ბაღში

კულტურა

ერთობლივი მუშაობით

საგარეჯოს აიპ კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესო ღვინაშვილი იმ მუშაობაზე გვესაუბრება, რაც გაერთიანების თანამშრომლებმა განვლილ ექვს თვეში გასწიეს:

– მინდა ჩემი საუბარი დავიწყო და თქვენი გაზეთის მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო მაისის ის ლამაზი დღე, როცა ჩვენი სახალხო თეატრის სცენაზე წარმატებით შედგა პრემიერა ნიკა საბაშვილის სპექტაკლის „ოჯახური იდილია“. ამ სპექტაკლით ჩვენმა დასმა კიდევ ერთხელ მოსინჯა ძალები და აჩვენა თავის გულშემატკივარ მაყურებელს თუ რა შეუძლია, როგორ შეუძლია მაყურებლის, თეატრის მოყვარულთა გულების მონადირება. ეს ისეთი მუხტია, რომლითაც დაიმუხტა ჩვენი თეატრალური დასი, რომ ალბათ უახლოეს მომავალში კიდევ მოიფიქრებენ, იმსჯელებენ და გადაწყვეტენ თავიანთი შესაძლებლობებით მაღალი ხარისხის შემოქმედებითი ნაყოფი მიაწოდონ საგარეჯოელ მაყურებელს. ამის იმედი კი ნამდვილად მაქვს, რადგან დახვეწილი, თითქმის პროფესიონალობამდე მისული თეატრალური დასის თითოეული წევრის თამაში სცენაზე მეტის გაკეთების შანსს იძლევა.

საგარეჯოს კულტურის სახლს (მენეჯერი თინათინ მეზვრიშვილი) არაერთი საინტერესო ღონისძიება მოუწყვია, მაგრამ, მოდით, აქვე შევთანხმდეთ, რომ როცა საუბარია ჩვენი გაერთიანების თუნდაც ერთი ობიექტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე, აქვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში ყველამ მიიღო მონაწილეობა. აქ ვერ ვიტყვი, რომ ცალკე გამოვყოთ, ვთქვათ, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, მუზეუმები. აქ ყველა ერთმანეთს უდგას მხარში. ეს ტრადიციაა და ეს ტრადიცია დიდხანს, დაუსრულებლად გაგრძელდება. მარტში ჩვენთან ჩატარდა გაზაფხულისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო. ჩვენმა 50 წლის საბავშვო თეატრმა (მენეჯერი მარინა შიოშვილი) ახალი წლის პირველი ორი კვირის განმავლობაში, თბილისში, „ბომბორას“ სკვერში პატარებთან ერთად გაატარა და თბილისელი პატარების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მათ წარმოადგინეს „ხუთკუნჭულა“ და „გუგულიანი საათი“. ასევე, თოჯინების თეატრმა სამჯერ გამართა საქველმოქმედო წარმოდგენა. დიდი ზეიმით აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღეც, სადაც მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული კოლექტივები, სიმღერის ანსამბლები. ისინი, ასევე, მონაწილეობდნენ რეგიონალურ ღონისძიებებში ყვარელში, ილიას ტბაზე.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ანსამბლმა „იმედმა“ თბილისის პროფკავშირების სახლში გამართულ პროფესორ რეზო ჭეიშვილის საიუბილეო საღამოზე.

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების მუნიციპალური დათვალიერების შესარჩევ ტურში კი, რომელიც ივნისის დასაწყისში გაიმართა ჩვენთან, მართლაც თავიანთი მაღალი შესაძლებლობები გამოაჩინეს აქ წარმოდგენილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

დასამახსოვრებელი იყო საგარეჯოელი ბავშვებისათვის ბავშვთა საერთაშორისო დღე – 1 ივნისის ზეიმი, სადაც წარმოდგენილი იყო საინტერესო პროგრამა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში როგორც ცნობილია ფუნქციონირებს რამდენიმე კულტურის სახლი: საგარეჯოს კულტურის სახლი (მენეჯერი თინათინ მეზვრიშვილი), კოჭბანის (მენეჯერი ხათუნა მძელური), პატარძეულის (თინათინ ბერძენიშვილი), თოხლიაურის (ლამზირა ზაქაიძე), კაკაბეთის (ლეილა გიგოშვილი), ბადიაურის (მზია ხორბალაძე). თითოეული კულტურის სახლი ცდილობს შეძლებისდაგვარად თავისი მუშაობა დასახული, წინასწარ შემუშავებული პროგრამითა და გეგმით წარმართოს – უკანასკნელ ხანს კულტურის სახლთან ნაყოფიერ ურთიერთობას ცდილობს ახალგაზრდობა, ასაკოვანი ადამიანები, დიდია დაინტერესება ქართული ფოლკლორისადმი, მისი შესწავლისა და პროპაგანდისათვის.

როცა ასეთი დაინტერესებაა, მაშინ კულტურის აღნიშნული ობიექტების შენობებიც უნდა მოწესრიგდეს. დღეს მიმდინარეობს საგარეჯოს კულტურის სახლის ჭერის შეკეთება, რომელიც უხვნალექიანი ზამთრის შედეგად დაზიანდა, ასევე მოხდება წინა ფასადის რესტავრაცია. დანარჩენი კულტურის სახლები მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ სადღეისო მოთხოვნებს, მათგან ავარიულ მდგომარეობაშია მხოლოდ კოჭბანის კულტურის სახლი. ასევე კარ-ფანჯარაა შესაკეთებელი ბადიაურის კულტურის სახლის.

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი) თანამშრომლები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ყველანაირად ცდილობენ პოპულარიზაცია გაუწიონ წიგნს, საინტერესო ღონიძიებებით მოიზიდონ მკითხველი. 2012 წლის 1 იანვრიდან დღემდე საბიბლიოთეკო კითხვაში ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 1377 მკითხველი ჩართო. გაცემულია 5890 წიგნი. ამ ხნის განმავლობაში აქ მოწყობილია სხვადასხვა გამოფენები როგორც მოზრდილთათვის, ასევე ბავშვებისათვის. გამოფენის „მსოფლიო მოვლენები და ბავშვები“ შევსება ხდება ახალი პერიოდიკით, ასევე, გამოფენილია უნიკალური გამოცემები. დიდი ინტერესია „დავით გარეჯის“ სამონასტრო კომპლექსის ფოტო-გამოფენისადმი. ასევე, აქ მოსულ მკითხველს ხვდება მწერლების – რეზო ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, გალაკტიონ ტაბიძის წიგნების გამოფენა, რომლებიც მიძღვნილია მწერლების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ასევე მოეწყო გამოფენა საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების დღისადმი – სახელწოდებით „ფერებში ამეტყველებული განწყობილებები“. ახლახანს ჩატარდა თემატური საღამო „არ დავიწყება მოყვრისა“, აწ გარდაცვლილი კულტურის განყოფილების გამგეების ხსოვნისა.

ასევე, ბავშვებისათვის მოწყობილია გამოფენები: „უპასუხეთ შეკითხვებს“, „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“, ბუნების საგანძური, „ვეფხისტყაოსანი“ – ერის საგანძური.

საგარეჯოს საჯარო სკოლების VIII-IX კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „სიყვარულს უშენებია“, ასევე, მომზადებულია ღონისძიება „საგარეჯოს ქალაქად წოდების 50 წელი“, ამავე სათაურითაა მოწყობილი გამოფენაც.

მიმდინარე წელს ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ორ ეტაპად ხდება ივნისში და ნოემბერში – ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით – 1200 ლარით. აღნიშნული თანხით შეძენილი წიგნები გადანაწილდება სასოფლო ბიბლიოთეკებზეც.

ცენტრალური ბიბლიოთეკა მიწვეული იყო 24-27 მაისს ქ. თბილისში ჩატარებულ „წიგნის ფესტივალზე“, სადაც ბიბლიოთეკამ მიიღო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საჩუქარი – 700 ლარის ვაუჩერის წიგნებზე, რომელსაც ჩვენს ბიბლიოთეკას წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაცია „წიგნის სამყარო“ მოგვაწვდის.

ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული სოფელ კაკაბეთის ბიბლიოთეკა (მენეჯერი მარინა მახარობლიშვილი) სოფლის საკრებულოს შენობაშია, ასევე სოფლის საკრებულოს შენობაშია პატარძეულის ბიბლიოთეკა (მენეჯერი ნათელა მუჩიაური), რომლებიც საკმაოდ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის (მენეჯერი ბადრი დღეიძე) და პატარძეულის გოგლა ლეონიძის სახელობის (მენეჯერი დარეჯან ლეონიძე) მუზეუმები. დღეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც ერთიანად შეუცვლის აქაურობის იერ-სახეს, მოიზიდავს დამთვალიერებლებს და რაც მთავარია, მეტი ინტერესი გაუჩნდება ახალგაზრდობას და მომავალ თაობას აქ მოსვლის, გართობის და ისტორიული წარსულის შესწავლის.

სასწავლო წლის ფინიშთან – წარმატებებით

საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაშიც დამთავრდა სასწავლო წელი. აქ განსხვავებული ხიბლი აქვს ბოლო სასწავლო დღეებს – მოსწავლეებიც და პედაგოგებიც ერთმანეთის და მოწვეული სტუმრების წინაშე აბარებენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და ამით დიახაც, რომ ძალიან ამაყობენ. ტრადიციას არც ახლა, ამ წელს ღალატობენ – ერთად აღნიშნავენ სასწავლო წლის დამთავრებას, ესწრებიან კლასის კონცერტებს, აანალიზებენ თითოეული მოსწავლის გამოსვლას, შესაქებს შეაქებენ, მისათითებელს მიუთითებენ. თუ რა შედეგებით დაამთავრა 2011-2012 სასწავლო წელი სკოლამ, გვესაუბრება სკოლის მენეჯერი **ლია ბურჯანაძე.**

მთავრდება სასწავლო წელი. ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში დიდი ფაციფუცია, ამ დროისათვის დაძაბული მუშაობაა პედაგოგებისა და მოსწავლეების; მიმდინარეობს ჩათვლები, დახურული კონცერტები, გამოცდები, ყველა დაინტერესებულია წარმატებით დაამთავროს სასწავლო წელი.

51-მა მოსწავლემ დაამთავრა ექვსი კლასი. სიხარულით ემშვიდობებიან თავიანთ პედაგოგებს, სკოლას, ზოგს გული სწყდება, ზოგი ტირის, მათ ხომ ინდივიდუალური გაკვეთილები უტარდებათ და მთელი 6 წელი პედაგოგი და მოსწავლე ერთმანეთის გვერდიგვერდ ზის, ისინი ერთმანეთს ეჩვევიან, ჩნდება ურთიერთპატივისცემა, სიყვარული მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, წლების განმავლობაში არც მოფერება აკლიათ, ხანდახან არც გაბრაზება. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენი სპეციალობა ხომ ძალიან შრომატევადია და სისტემატიურ მეცადინეობას მოითხოვს.

პედაგოგებისა და მოსწავლეების გულისხმიერებით და მონდომებით წარმატებით დამთავრდა 2011-2012 სასწავლო წელი.

გასულ წლებში საანგარიშო კონცერტები ტარდებოდა 20-25 გამორჩეული მოსწავლის მონაწილეობით. წელს გადაწყდა დია კონცერტებში მონაწილეობა მიეღო სკოლის ყველა მოსწავლეს. ეს იქნებოდა ძლიერი, საშუალო თუ სუსტი. მართლაც, ფორტეპიანოს ჩვიდმეტივე პედაგოგმა ცალ-ცალკე ჩაატარა კლასის კონცერტი თითქმის ყველა მოსწავლის მონაწილეობით;ესწრებოდნენ მშობლები, მოსწავლეები, პედაგოგები. არც ერთ რაიონში არ არის სწავლის ისეთი მცირე გადასახადი, როგორიც ჩვენს რაიონში; ყველა, ძლიერ თუ გაჭირვებულ ოჯახს შეუძლია მოიყვანონ თავიანთი შვილები სამუსიკო სკოლაში და აზიარონ მუსიკის საიდუმლოს. ეს მხოლოდ 7 ლარი უჯდებათ თვეში. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას, სკოლის პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების სახელით.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 12 მაისს ქ. ბოლნისში ჩატარდა ქვემო ქართლის მულტიეთნიკური მუსიკალური საერთაშორისო ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“ – „კულტურათა დიალოგი“, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი რაიონის ერთმა მოსწავლემ სალომე მღებრიშვილმა (პედაგოგი ნელი ყანჩაშვილი) შეასრულა არამ ხაჩატურიანის „ხალხურისადმი მიბაძვა“. იქიდან პედაგოგიც და მოსწავლეც ხელდამშვენებული დაბრუნდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ასევე სკოლას გადაეცა დიპლომი მათი მოსწავლის წარმატებით მონაწილეობისათვის და სკოლის დირექციის სახელით კლასის კონცერტზე სალომე მღებრიშვილს გადავეცით სიგელი და სამახსოვრო სუვენირი, მის პედაგოგს ნელი ყანჩაშვილს მადლობა გამოვუცხადეთ ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სკოლის დირექციის სახელით მადლობა ვუთხრა ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგს მათ მიერ გაწეული მუშაობისათვის და ვუსურვო წარმატებები.ჩვენი რაიონის მოსახლეობას კი მინდა ვუთხრა, რომ არ დაიზარონ, თავი არ შეიკავონ, შემოიყვანონ თავიანთი შვილები, შვილიშვილები სამუსიკო სკოლაში. ზოგი სწავლას გააგრძელებს სამუსიკო სასწავლებელში, ზოგიც წარმატებას მიაღწევს, ვინ მუსიკაში ზოგად განათლებას მიიღებს, ვინ კარგი მსმენელი გაიზრდება – ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს მათი მომავლისათვის – მუსიკა ხომ ჩვენს სიცოცხლესაც ამშვენებს და სიკვდილსაც.

ჩაიწერა თინა ილაურმა.

მადლობა

მადლობას ვუხდი საგარეჯოელ მამულიშვილს ბ-ნ ზაზა გულიკაშვილს იმ ადამიანობისა და სიკეთისათვის, რასაც ის იჩენს თითოეული საგარეჯოელისათვის და განსაკუთრებით კი ჩემი ოჯახისათვის. მადლობელი ვარ, ბატონო ზაზა იმ თანადგომისათვის, იმ მხარდაჭერისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემს მიმართ – მე დღეს თქვენი კოლექტივის ერთ-ერთი თანამშრომელი ვარ და კვლავაც ვმუშაობ იქ, სადაც ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და სიკეთე არ მოგიშალოთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

მარინე ასატუროვი

საგარეჯო

საქართველოს მეიარაღებულ ძალებში

სამხედრო-სავალდებულო სამსახური 15 თვიანი გახდა

ესიახლე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის *გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსმა* **მირიან დოდონაძემ** გვაცნობა, რომელსაც ამ დღეებში წვევამდელთა მიმდინარე წლის საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობის შესახებ ინტერვიუს ასაღებად ვეწვიეთ.

კერძოდ, სიახლე ამ საგაზაფხულო გაწვევიდან ამოქმედდა და ამიერიდან წვევამდელები ნაცვლად წინა წლების 1 წლისა, 15 თვეს იმსახურებენ. აღნიშნულმა სამსახურმა გასულ წელს ნაცვლად 75 წვევამდელისა, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მუნიციპალიტეტის 103 წვევამდელი ჩარიცხა. სამხედრო-სავალდებულო სამსახურში 2000 ლარიანი მოსაკრებელის გადახდის მეშვეობით წელიწადნახევრიანი გადავადება მიეცა 16 წვევამდელს.

– რაც შეეხება მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევას, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბ-ნმა მირიან დოდონაძემ, – გეგმით გვევალება სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში 50 წვევამდელის ჩარიცხვა. ამ გეგმის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის გამგეობის სათანადო ხელშეწყობით, თავიდანვე ორგანიზებულად დავიწყეთ მუშაობა – შევქმენით შესაბამისი სამხედრო-სამედიცინო გამწვევი კომისია და რაიონის სხვადასხვა სოფლების 258 წვევამდელს დაეგზავნა გაწვევის შეტყობინებები. მათგან სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გასავლელად მოგვაკითხა 224-მა წვევამდელმა, რომელთაგან 141 გაიგზავნა თბილისის ცენტრალურ სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გასავლელად. აქედან, 68 წვევამდელი უკვე ჩაირიცხა სხვადასხვა ნაწილებში, დანარჩენები კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაშვებული არიან შესაბამის სამედიცინო გამოკვლევებზე. ისე, რომ მაისის შუა რიცხვებისათვის ჩვენ უკვე გადაჭარბებით გვქონდა შესრულებული გაწვევის გეგმა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის ვადები საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გაგრძელებულია ივლისამდე, ეს ციფრი კიდევ მოიმატებს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ გაწვევაზე მოსაკრებლის მეშვეობით გადავადების უფლება მიიღო შვიდმა წვევამდელმა.

– თქვენ საუბარში რამდენჯერმე ახსენეთ სიტყვა „მოსაკრებელი“ და „გადავადება“. თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით, რა თანხას ითვალისწინებს იგი და რა ვადით ათავისუფლებს წვევამდელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან?

– მოსაკრებლის თანხა შეადგენს 2000 ლარს და გადაიხდება სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. რაც შეეხება მოსაკრებლის მეშვეობით გადავადებას, წინანდელი ერთი წლის ნაცვლად, ახლა ეს ვადა გაგრძელებულია 15 თვემდე.

– როდემდე, ანუ რა ასაკამდე აქვს წვევამდელს მოსაკრებლის მეშვეობით გადავადების უფლება?

– კანონი მოსაკრებლის მეშვეობით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან წვევამდელს გადავადების უფლებას 25 წლის ასაკამდე ანიჭებს, რომლის გასვლის შემდეგ იგი გაწვევას ექვემდებარება. რა თქმა უნდა, თუ ამ პერიოდის მანძილზე მას არ გამოუჩნდა ახალი გარემოებები, რომლებიც წვევამდელის სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი შეიძლება გახდეს.

– კერძოდ, რა მიზეზებით შეიძლება წვევამდელის სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლება?

– სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან წვევამდელის გათავისუფლების ნებას კანონი იძლევა არასათანადო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუ იგი არის სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნობილი პიროვნება, პირი, რომელიც ნასამართლევია სისხლის სამართლის, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სამეცნიერო ხარისხი და ეწევიან მეცნიერულ-საგანმანათლებლო საქმიანობას; დედისერთები, სოფლის მასწავლებლები და ექიმები, პარლამენტის წევრები და პარლამენტის წევრობის კანდიდატები, ასევე, საქართველოს პრეზიდენტს მინიჭებული აქვს უფლება სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გაათავისუფლოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელები.

– კანონი ითვალისწინებს შეღავათებს ერთშვილიან და მრავალშვილიან წვევამდელებზეც. კერძოდ, რას და ვისზე.

– კანონი მართლაც ითვალისაწინებს შეღავათებს ერთ და მრავალშვილიან წვევამდელებზე. კერძოდ, ერთშვილიან წვევამდელებს ეძლევათ გადავადება 3 წლის ვადით, ხოლო 2 და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში, წვევამდელი საერთოდ თავისუფლდება სამხედრო სამსახურისგან.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაცნობოთ, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იმ სტუდენტებს, რომლებმაც 2007-2008 წლებში გაიარეს სამხედრო-სარეზერვო სამსახური, მიენიჭათ რიგითის წოდება, ჩაირიცხნენ რეზერვში და მიეცათ სათანადო სამხედრო მოწმობები. ასეთი რეზერვისტების რიცხვი ჩვენს მუნიციპალიტეტში 121-ია.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

ყურადღება

თავიდან ავიცილოთ ხანძარი

ოდითგანვე ოცნებობდა ადამიანი ცეცხლის მოთვინიერებაზე, რადგან სითბო და მყუდროება მოჰქონდა მას. დღევანდელი ცივილიზაცია წარმოუდგენელია ცეცხლის გარეშე და მაინც იგი – ხანძრად ქცეული ადამიანის საშიში მტერია. ზაფხული გამოირჩევა თავისი ხანძარსაშიშროებით, ამ დროს დიდი თუ პატარა მინდვრად არის გასული მიწის დასამუშავებლად. სახლში კი უმეთვალყუროდ ტოვებენ მცირეწლოვან ბავშვებს. ბავშვი კი დაუდგრომელი ხასიათისაა, ხშირად ბაძავს უფროსებს, ანთებს ღუმელს, გაზქურას, არ ერიდება ცეცხლთან თამაშსაც, რასაც ყოველთვის მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი მოაქვს.

დღევანდელმა ცხოვრებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწას მიაჯაჭვა ოჯახის გამოსაკვებად. თავისი წლის სარჩოდ დათესა მარცვლეული კულტურები და რა ძნელია, რომ მოსავლის აღების პერიოდში, უყურადღებობისა და გაუფრთხილებლობის გამო, ელემენტარული ხანძარსაწინააღმდეგო წესების უგულებელყოფამ შეიძლება რამდენიმე წუთში გაანადგუროს ასობით ჰექტარი პურის ყანები. საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების წესების შესაბამისად: თავთავიანი და სხვა კულტურების აღების, გადამუშავების და შენახვის პერიოდში, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეული და სხვა კულტურების მასივების შემოხვნას, რკინიგზის ხაზების, სამანქანო გზებისა და ტყის ზოლებთან. აუცილებლად უნდა იქნას მანძილი თავთავიანი კულტურების მასივებთან, ტრაქტორების, კომბაინებისა და ავტომობილების გამწყობ მოედნამდე. კატეგორიულად იკრძალება ნაკვეთებში და მის სიახლოვეს ტექნიკის საწვავ-საპოხი მასალებით გამართვა. მიდებულ უნდა იქნას საჭირო ზომები, რათა მინდვრად მომუშავე ყველა ტექნიკა აღჭურვილი იქნას ნაპერწკალმჭერებით და ხანძრის ქრობის პირველადი დახმარების საშუალებებით. 25 ჰექტარზე მეტი მასივების სიახლოვეს საჭირო მობილიზებული იქნას ტრაქტორი გუთნით. ფართობი უნდა დაიყოს ნაკვეთებად, რომელთა ფართიც არ უნდა აღემატებოდეს კომბაინის დღიური გამომუშავების ნორმას. ნაკვეთებს შორის უნდა გაკეთდეს 8 მეტრი სიგანის ხნული.

მარცვლეულის აღების და საკვების დამზადების პერიოდში აკრძალულია: ავტომობილებისა და ტრაქტორების მუშაობა კაპოტის გარეშე ან ღია კაპოტით; ძრავის რადიატორებში მტვრის ამოსაწვავად სარჩილი ლამპის გამოყენება; ღამის საათებში ავტომანქანების და სხვა ტექნიკის გამართვა საველე პირობებში. საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარება.

მოსავლის ამღები მანქანების ძრავების რადიატორები, ბიტერები, ჩალის სატენები, ტრანსპორტიორის და ამკრეფი ლილვები, კონვეიერი და სხვა კვანძები დროულად უნდა იქნას გასუფთავებული მტვრისა და სხვა ნარჩენებისაგან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახური კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ გვახსოვდეს და მტკიცედ დავიცვათ ხანძარსაწინააღმდეგო წესები, რათა უდანაკარგოდ და ხანძრის გარეშე ჩავატაროთ წლევანდელი ალოობა. ხანძრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ სახანძრო სამსახურს. ტელ: 577-95-57-34; 577-95-14-18; 24-39-78.

ზაქარია ოტიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსი

საგარეჯოს კოლორიტები

საღამო ხსოვნის არდავიწყებისა...

სულ ახლახანს საგარეჯოს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფის ლია ურდულაშვილის ინიციატივითა და შესაბამისი სამსახურების ხელშეწყობით მოეწყო რაიონის კულტურის განყოფილების ყოფილი გამგეების გიორგი არაბულის, აბრამ სინჯიაშვილის, ჯემალ ბურჯანაძის, რამინ მარტაშვილისა და ზაურ სვანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამ პიროვნებებმა დიდი წვლილი შეიტანეს და თავიანთი კვალი დაამჩნიეს ჩვენი რაიონის გასული საუკუნის კულტურულ ცხოვრებას.

გიორგი არაბულის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობის (1962-63წწ.) პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა და ახალი სპექტაკლი დაიდგა საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე. ამ თანამდებობის დატოვებისა და რაიგზეთ „ივრის განთიადში“ მუშაობის დაწყების მიუხედავად ერთი დღითაც არ მიუტოვებია საყვარელი თეატრის სცენა, შექმნა ბევრი დასამახსოვრებელი სახეები სხვადასხვა სპექტაკლებში. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ავტორია მრავალი შესანიშნავი ლექსისა, რომლებიც დღის სინათლეს ელიან.

გიორგი არაბული ამ თანამდებობაზე აბრამ სინჯიაშვილმა შეცვალა, რომელიც რაიონის კულტურას 10 წლის მანძილზე – 1973 წლამდე ედგა სათავეში. იმ დროისათვის რაიონში ფუნქციონირებდა 27 ბიბლიოთეკა. თვითონ წიგნზე შეყვარებული დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის განათლებისა და წიგნიერების საქმეს, ეხმარებოდა სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობაში.

დიდია და დაუვიწყარი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში ჯემალ ბურჯანაძის ღვაწლი. ახალი სპექტაკლების მუსიკალურად გაფორმებასთან ერთად, მან ფასდაუდებელი ამაგი შეიტანა საგარეჯოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბებაში.

1980 წელს ჯემალ ბურჯანაძე რამინ მარტაშვილმა შეცვალა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რაიონში გაიხსნა 12 ახალი ბიბლიოთეკა, მთის შორეულ სოფლებს ემსახურებოდნენ ე.წ. მოძრავი ბიბლიოთეკები. კულტურის სფეროს ხელმძღვანელობასთან ერთად ბ-ნი რამინი თვითონაც მონაწილეობდა სახალხო თეატრის სპექტაკლებში, წერდა ლექსებს.

1992-99 წლებში კულტურას სათავეში უკვე ზაურ სვანიძე უდგას. 1996 წელს საგარეჯოს თეატრის სცენაზე დაიდგა მისი პიესა „რეპეტიცია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“. ამ სპექტაკლმა იმავე წელს მონაწილეობა მიიღო სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაში. სიცოცხლის ბოლო პერიოდში ზაურ სვანიძე მუშაობდა ახალ პიესაზე, მაგრამ მისი დასრულება ვეღარ მოასწრო. ბ-ნი ზაური შესანიშნავი ლექსების ავტორიც გახლდათ. მის ერთ-ერთ ლექსზე დაიწერა სიმღერა „რადას უცდი“, რომლისთვისაც მუსიკა ნელი გულიკაშვილმა დაწერა და შევიდა ქალთა ანსამბლ „ჩინარის“ რეპერტუარში.

ვრცლად მათი დამსახურების შესახებ საღამოზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა ისაუბრეს, მეგობრებმა, ახლობლებმა, ადამიანებმა, ვინც წლების მანძილზე იღწვოდნენ და იდგნენ გარეჯული კულტურის სადარაჯოზე: თამარ ჯაბადარმა, ნინო ესაიაშვილმა, ნანული ბილანიშვილმა, ფატი ღვინაშვილმა, ნათელა დიღმელაშვილმა, თინა მეზვრიშვილმა, თინა კობაურმა, ნაირა ელმეთაშვილმა, აიპ საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა თბილად გაიხსენეს ამაგდარ ადამიანებთან გატარებული წლები, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, კურიოზები, წაიკითხეს მათი ლექსები.

საღამოზე ჯემალ ბურჯანაძის მუსიკაზე შექმნილი ორი სიმღერა შეასრულა საგარეჯოს სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ლია ბურჯანაძე), ანსამბლ „ჩინარის“ წევრებმა კი ზაურ სვანიძის ლექსზე დაწერილი სიმღერა, „რადას უცდი“.

საღამო დააგვირგვინა საგარეჯოს სამუსიკო სკოლის პედაგოგების მიერ შესრულებულმა ჯემალ ბურჯანაძის „პოპურმა“.

საღამო მიჰყავდა საგარეჯოს სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს პაატა ქვლივიძეს.

გივი დაბახიშვილი

მართლმადიდებლობა

თავთა მოციქულნი

წმინდა მოციქულნი, პეტრე და პავლე გამოირჩეოდნენ დიდი რწმენით, სიყვარულითა და თავდადებით, დიდი ადამიანური ღირსებით. ეს არის ორი საოცარი სვეტი, აღმართული ქვეყნიდან ზეცამდე. ყველა მოციქული არის კლდე, მაგრამ მოციქულთა შორის გამორჩეულია წმინდა პეტრე და პავლე, საოცარი თვისებები ახასიათებს, მაცხოვრის შეკითხვაზე – ვინ ვარ, ყველა მოციქულის სახელით პეტრე მიუგებს: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა!“

წმიდა პეტრე მოციქული, ანდრია პირველწოდებულის ძმა, გამორჩეულია უფლის მოწაფეთა შორის, რადგან პავლესთან ერთად ის პირველმოციქულია, ანუ თავი მოციქულთა , სანამ ქრისტეს შეუდგებოდა, სიმონი ერქვა, ხოლო პეტრე, ანუ, ებრაულად „კეფა“ (კლდე), მას თავად უფალმა იესო ქრისტემ უწოდა მტკიცე რწმენისა და საღვთო გულმოდგინებისათვის. როდესაც ის მიიყვანეს იესო ქრისტესთან, მაცხოვარმა უთხრა: „შენ ხარ სიმონ, იოანესი, შენ გეწოდოს კეფა, რომელიც ითარგმნების კლდედ (პეტრუს)“. იმ წამიდან პეტრე უფლისადმი სიყვარულით აღივსო, ირწმუნა მისი, როგორც ჭეშმარიტი მისიისა – ქრისტესი, რომელიც ღმერთმა კაცობრიობის ხსნისთვის მოავლინა ამქვეყნად. ამის შემდეგ წმინდა პეტრე მოციქული შეუდგა და, თავის ძმასთან – ანდრიასთან ერთად, აღარასოდეს განშორებია მას. უფალს გულწრფელობისათვის და უბრალოებისათვის უყვარდა პეტრე მოციქული. ერთხელ მას ღარიბულ სახლში ესტუმრა და ხელის შეხებით განკურნა ციებ-ცხელებით შეპყრობილი მისი სნეული სიდედრი. პეტრე მოციქული არასოდეს ტოვებდა უფალს, შესაბამისად ის უშუალო და მონაწილე და თვითმხილველი იყო უფლის მრავალი დიდი სასწაულმოქმედებისა, თუმცა ღმერთმა თავისი მიუწვდომელი განგებულობით, დაუშვა პეტრე მოციქულის სამგზის განდგომა უფლისაგან, როცა ქრისტე შეიპყრეს და განსასჯელად მღვდელმთავართან მიიყვანეს, მაგრამ წრფელი სინანულითა და ცხარე ცრემლთა ღვრით მან გამოისყიდა თავისი სისუსტე და შენდობაც ითხოვა. წმინდა პეტრე მოციქულთაგან პირველი, ღირს იქმნა მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს ხილვისა, მოგვიანებით, როდესაც უფალმა მოციქულებს სულიწმინდა მოუვლინა, იმ დღეს პეტრე მოციქულმა მცირე ხანში სამი ათასი მორწმუნე შესძინა ქრისტეს ეკლესიას, ამასთანავე, მან დიდი სასწაულმოქმედი ძალაც გამოამჟღავნა. პეტრემ ძალიან ბევრ ქვეყანაში იქადაგა ქრისტეს სარწმუნოება, ბევრი ადამიანი მოაქცია, სასწაულებიც აღასრულა, ბოლოს კი, სხვა მოციქულებთან და სხვა ქრისტიანებთან ერთად, ისიც შეიპყრეს. პეტრეს, როგორც არარომაელს, ჯვარზე სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. როცა მეომრებმა ჯვარი აღმართეს, მოციქულმა ითხოვა, თავდაყირა გამომკიდეთო. ამით ის ჯეროვან პატივს მიაგებდა უფალს, რომელმაც თავისი ნებით დაითმინა ჯვარზე სიკვდილი და ამასთან, ღირსადაც არ მიაჩნდა თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმული ყო. მართლაც, წმინდა პეტრე მოციქული თავდაყირა მიამსჭვალეს ჯვარს. წმინდა პავლე მოციქული კი, პეტრესთან ერთად მოციქულთა თავად აღიარებული, ქრისტეს მცნებაზე მოქცევამდე სავლედ იწოდებოდა და წარმოშობით ბენიამინის ტომიდან იყო. მიუხედავად იმისა, რომ პავლემ ღრმად შეისწავლა წინაპართა წესჩვეულებები და ფარისეველთა პარტიასაც შეუერთდა, მაინც არ გამხდარა ქრისტიანი, უფრო მეტიც – უფლის მიმდევართა სასტიკი მოძულე და მდევნელი იყო. როცა სავლე თანამზრახველ იუდეველებთან ერთად დამასკოსკენ მიმავალ გზას ადგა, ანაზდად ნათელი გაუბრწყინდა ზეციდან, იმდენად თვალისმომჭრელად, რომ სავლე მიწაზე დავარდა, იმ წამს ზეგარდმო ხმა მოესმა, რომელიცეუბნებოდა: „საულ, საულ, რაისა მდევნი მე?“ შემდეგ უფლის ბრძანებით, სავლე წამოდგა, რათა გზა გაეგრძელებინა, მაგრამ, ვერაფერს ხედავდა. მას ხორციელნი თვალნი დაუბრმავდა იმისთვის, რომ სულიერი თვალი ახელოდა და ჭეშმარიტება შეეცნო. მოგვიანებით, უფლის მოციქულმა ანანიამ იხილა უფალი და შეასრულა მისი ნება: მოძებნა სავლე, ხელნი დაასხნა და მასაც უმალ აეხილა თვალები. ანანიამ მას სახელიც შეუცვალა, რის შემდეგაც, პავლე უფრო და უფრო მტკიცდებოდა რწმენაში და დაუღალავად ქადაგებდა ქრისტეს სახარებას. სწორედ სულიწმინდის ჩაგონებით გაემგზავრა პავლე ანტიოქიაში, სადაც ქრისტეს მიმდევრებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები. როგორც პეტრემ, პავლემაც ძალიან ბევრი ადამიანი მოაქცია და აზიარა ქრისტეს რჯულს. ბოლოს ის დაბრუნდა რომში, რადგან იცოდა, მოახლოებული იყო მისი აღსასრული. ნერონმა მასაც სიკვდილი მიუსაჯა – პავლეს მახვილით მოჰკვეთეს თავი. ორი დიდი მოციქული ერთ წელიწადს აღსრულებულა, თუმცა, ცნობილია, რომ ორივე 29 ივნისს, ახალი სტილით 1 ივლისს მოაკვდინეს. გადმოცემით, როცა წმინდა პავლეს თავი მოჰკვეთეს, მისი ჭრილობებიდან სისხლი და რძე გადმოიღვარა.

„მართალთა შინა წიაღში“

თამარ მამნიაშვილი

გაზაფხულის მზიანი დღესავით ლამაზი, მომცინარი, სითბოთი გაჯერებული შემოფეთება იყო შენთან ყოველი შეხვედრა ჩვენთვის, საგარეჯოელებისათვის, ჩვენო თამრიკო. საოცარია, მართლაც როგორ მოიყარა ერთ პიროვნებაში ასე ერთბაშად თავი ყველანაირი სიკეთის ნიჭმა?! უნიჭიერესი, გონიერი (ტყუილად როდი ამბობდნენ ჩვენი პედაგოგები მამაკაცური აზროვნება ტექნიკურ საგნებშიო), ყოველმხრივ განათლებული, საგარეჯოს II საშუალო სკოლის კი არა, მთელი რაიონის სკოლების ერთ-ერთი გამორჩეული ოქროსმედალოსანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ წარჩინებული სტუდენტი, შემდეგ კი შესანიშნავი ლექტორი, შეუდარებელი პროფესიონალი შენი საქმის, მაგრამ, რაც მთავარია, თამარ, შენში ამ ყველაფერთან ერთად იმდენი პიროვნული, ადამიანური და ქალური თვისება და ღირსებები იყო, ასეთი მხოლოდ ღმერთისგან რჩეულებს აქვთ. სად გქონდა ამდენი ენერგია, ამდენი სითბო, ამდენი სიყვარული ჩვენთვის, საერთოდ ყველასთვის, თამარ?! გაზაფხულის დღესავით გასხივოსნებული, გასპეტაკებული დადიოდი საგარეჯოს ქუჩებში, გვახარებდი და გვახალისებდი, თუმცა, მუდამ გეჩქარებოდა, მაგრამ ლამაზ ღიმილს და გულითად მოკითხვას არავის დაუგვიანებდი.

სწორედ გაზაფხულის ლამაზ დღეს წაგვართვა შენი თავი უფალმა, ჩვენო თამარ. 40 დღეზე მეტი გავიდა მას შემდეგ. გვენანები და გვენატრები. შენი ღიმილი ლამაზ მოგონებად შემოგვრჩება საგარეჯოელებს. შენი სახელი კი ერთ-ერთი უკეთილშობილესი ინტელიგენტი ქალის სახელად.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო თამარ.

საგარეჯოს II საშუალო სკოლის ყველა თაობის კურსდამთავრებულთა სახელით თინა ილაური

ალიკა ქიტიაშვილი

როგორი ცრემლით გაფრინდა 8 თვე, როგორ გვენატრები იცი? რა მწარე და ტკივილიანია ეს მონატრება, როგორ ხარ, ალიკა, ჩვენო ყველასგან გამორჩეულო, ჩვენო სიხარულო, ჩვენო იმედო? ისევ ხომ არ გტკივა რამე? ჩვენ კი ძალიან გვტკივა გული, რადგან ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მაგრამ ვიცით, რომ კარგად იქნები, რადგან ჩვენი სურვილია ეს და ასე გვინდა...

ალიკა, დალოცე შენი ლამაზი ცოლ-შვილი. ლეილა – შენი ერთგული მეუღლე და გურია – შენი უსაყვარლესი შვილი. ჩვენ ყველა შენს შვილს ვანებივრებთ, რათა უშენობა შევუვსოთ, უშენობას ძალიან განიცდის.

გვენატრები, ძალიან გვენატრება შენი კეთილი გული და გულიანი სიცილი.

სიხარული დაეკარგათ შენს სიდერსიმამრს, შენს ცოლისდებს, შენს ცოლის დისშვილებს. დაგვრჩა მხოლოდ შენთან გატარებული მოგონებები და უამრავი ფოტო.

შენზე ლოცვითა და დარდით გადის დღეები, ალიკა...

უფალს ვთხოვ, ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული.

ცოლისდა მაია, ცოლისდის შვილები გიგა და დათა, ქვისლი ნიკო გულაღაშვილები.

ოთარ გულაღაშვილი



ისევ მოვიდა 19 ივლისი შენი და ჩვენი ცხოვრების შემცვლელი. ეს თვე და ეს რიცხვი, საშინლად გვძაგს. უშენოდ ხომ დარდით და დიდი ტკივილით დაილია ეს 15 წელი.

იმ ავბედითმა ტყვიამ ჩააქრო შენი დაუშრეტელი ახალგაზრდა სიცოცხლე, განა მარტო შენი, ჩვენი იმედებიც, სიხარულიც. მიდის ტკივილიანი წლები ძმაო. მენატრები, შენ არ გენატრები? ამ ტკივილს მარტო შენი დანახვა მომიხსნის, შენს შემდეგ ჩემი გული უსიხარულო დარჩა შენმა სიცოცხლემ, შენს შავ ტანსაცმელს ვფიცავარ, ასე მოვალ შენამდე ჩემი შავებით და უსიხარულო გულით. ილოცე ძმაო შენს ცოლ-შვილზე და მათ ნამატზე, ჩემს მეტი არავინ მოგენატროს, ამას გთხოვ. იამაყე შენი შვილებით, ძმაო, მიცვალებულმაც. შენს სახელს ესენი არასოდეს შეარცხვენენ და არც არასოდეს დაგივიწყებენ. ორი ვაჟკაცი გყავს, ორივემ შენი სახელი დაარქვეს თავიანთ შვილებს. მარტო შენი დანახვა უნდათ, შენი ხმის გაგონება, შენს შვილებს სხვა არაფერი უჭირთ.

შენი და

საიდან მოვდივართ, საიდან გვაქვს ფესვები?!



ამ დღეებში პატარძეულელმა ელერდაშვილებმა მაგალითი უჩვენეს ყველა ქართველ საგვარეულოს და შექმნეს ელერდაშვილების ერთ-ერთი უძველესი საგვარეულოს საგვარეულო წიგნი „ელერდაშვილები“, რომლის ავტორია ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი ჟურნალისტი და ისტორიკოსი ალექსანდრე ელერდაშვილი. წიგნის სპონსორია ელერდაშვილების სიძე ამერიკელი ბიზნესმენი, მინესოტას შტატის მცხოვრები ბილ აკერმანი. წიგნის რედაქტორ-გამომცემელია ცნობილი ირანისტი ალექსანდრე ვახტანგის ძე ელერდაშვილი. წიგნის გაფორმებასა და ტექსტის რედაქტირებაში გარკვეული როლი შეასრულა ქეთევან ვალერიანის ასულმა ელერდაშვილმა – ბილ აკერმანის მეუღლემ.

წიგნის პრეზენტაცია შედგა ელერდაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელთა შეკრებაზე სოფელ პატარძეულში.

ლიდერული ჭილდოები

რა ოქრო-ვერცხლის პაპრონები არიან აბიბურიენძი გიორგი და სალომე ლალიაშვილები?

ეაინც ვინ არიან სალომე და გიორგი ლალიაშვილები, რა ოქრო-ვერცხლის მფლობელები არიან ისინი! საიდან იშოვეს ეს განძი და რაში დასჭირდათ ამ ამბის საგაზეთოდ „გაბაზრება“? – მკითხავს გაოცებული მკითხველი.

ყველაფერი რიგზე დადგება თუ ვიტყვით, რომ და-ძმა სალომე და გიორგი ლალიაშვილები (თუმცა ტყუპები არ არიან, ერთ კლასში სწავლობდნენ) საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის „ჯეოჰოსპიტალსის“ უფროსი ექიმის დათო ლალიაშვილის და ამავე ცენტრის ექიმ-პედიატრის ნანა კურდღელაშვილის შვილები – საგარეჯოს IV საჯარო სკოლის წლევანდელი ოქროსა და ვერცხლის მედლებით კურსდამთავრებულები არიან. და-ძმიდან უფრო „მდიდარი“ სალომეა. სწორედ ისაა „ოქროს განძის“ მფლობელი. გიორგის 12 წლიანი სწავლა-წურთვნის საქმე კი „ვერცხლით“ შეფასდა. ამრიგად წელს სკოლის კურსდამთავრებულებზე გაცემული 6 მედლიდან 2 და-ძმაზე მოდის. მათი ასეთი მაღალი შეფასება სულაც არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლის კედლებში გატარებული მთელი 12 წლის განმავლობაში ისინი მუდამ წარმატებული, აქტიური მოსწავლეები იყვნენ – შიდა სასკოლო ცხოვრება-საქმიანობისა თუ ყოველწლიური ოლიმპიადებისა და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მონაწილეები და გამარჯვებული.

– 2009 წლიდან ყოველ წელს ვმონაწილეობდით სასკოლო ოლიმპიადებში და უკან ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულვართ. ამ შედეგების გამო წელს ყვარლის ტბაზე 15 ივნისს გამართულ წარმატებულ ბავშვთა დაჯილდოებაზე ვიყავით მიწვეულნი – გვიყვებიან რედაქციაში სტუმრად მოწვეული და-ძმა, რომელთაც უმაღლეს სასწავლებელში საგამოცდო ციებ-ცხელების მიუხედავად მაინც გამონახეს დრო და ჩვენთან სასაუბროდ მოიცალეს.

კიდევ რითი იყო აღსანიშნავი და დასამახსოვრებელი და-ძმისთვის სკოლაში გატარებული 12 წელიწადი, რა უყვართ და იტაცებთ ამაზე გიორგი პასუხს გვცემს:

– ადრეული წლებიდანვე ვმონაწილეობ მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით კონფერენციებში, მიტაცებს ფიზიკა, ბიოლოგია, მათემატიკა, ასევე სხვა საგნები. ამასთან, დამატებით სალომეს თავისი ლექსები და ჩანახატებიც გაჰქონდა კონფერენციებზე. წელს ისე მოხდა, რომ 5 საგანში წარდგენილ ნამუშევრებში ხუთივეში I ხარისხის დიპლომი ერგო. მე კი 2 საგანში I, სამში კი II ხარისხის დიპლომი გადმომეცა. საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მითხრეს – სალომე ჩვენი რეკორდსმენია, ამდენი I ხარისხის დიპლომი ჯერ არავის ჰქონიაო.

ყველაფერთან ერთად სალომემ საგარეჯოს სამუსიკო სკოლაც დაამთავრა, ცეკვაზეც დადიოდა. მე კი ფეხბურთზე წავედი, რაგბიც მაინტერესებდა, მაგრამ ყველაზე მეტად წიგნები მაინტერესებს და ალბათ ამიტომ ვერ გავყევი სპორტს. უმეტესწილად დეტექტიურ და სათავგადასავლო წიგნებს ვეტანები.

– მე კი კომპიუტერში „ძრომიალი“ და ფილმების ყურება მიყვარს ყველაზე მეტად, უფრო კომედიური ჟანრის – თავისი ჰობი გაგვიმხილა სალომემ. – კომპიუტერი მართლაც იდეალური საშუალებაა, გინდა შენთვის საჭირო ინფორმაციას მოიძიებ, გინდა ფილმებს უყურებ, გინდა სხვადასხვა თამაშებს ითამაშებ.

– კომპიუტერით თამაშობა მეც მომწონს, – საუბარში ერთვება გიორგი, – თუ მასზე არ ვთამაშობ, მაშინ ვბურთაობ ან ჩემს მანქანას ვაკეთებ – ჩემი ხელით მაქვს „06“ აწყობილი და ამით ხშირად ვერთობი.

– სალომე, მოდი ბარემ იმის შესახებაც მოგვიყევი, როგორ მოხვდი ინგლისში, კემბრიჯში?

– ის, რომ შარშან კემბრიჯში მოვხვდი, ამაში წელილი ნაწილობრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებასაც მიუძღვის, რომელმაც საგარეჯოს საჯარო სკოლების ინგლისური ენის მცოდნე 10 წარჩინებულ მოსწავლეთა შორის მეც გამაგზავნა შავიზღვისპირეთის ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში დასასვენებლად. იქ ჩატარდა რესპუბლიკური ოლიმპიადა თემაზე „ჩვენი საქართველო“, სადაც შევძელი III ტურში გადასვლა და საუკეთესო ათეულში მოხვედრა. ამ შედეგით სხვა 10 დამსვენებელთან ერთად გამაგზავნეს ინგლისში, სტუდიო კემბრიჯში 1 თვით. ენით ვერ აგიწერთ იქ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, მქონდა ბევრი ექსკურსიები, დავათვალიერეთ იქაური ღირსშესანიშნაობები, მაგრამ მე მაინც საგარეჯო და აქაური საჭმელები მენატრებოდა.

– გიორგი, შენც ხომ არ მოგენატრა საგარეჯო და აქაური კერძები, როცა ბაზალეთზე იმყოფებოდი მსგავსი მისიით?

– აქაური საჭმელები რატომ უნდა მომნატრებოდა? ჯერ ერთი მე ჩემს ქვეყანაში ვიყავი და იქ სულ 3 დღე დავყავი. ბაზალეთზე კახა ბენდუქიძის და მისი „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ცნობილი ინიციატივის მეშვეობით მოვხვდი, სადაც შევძელი გამოცდის ჩაბარება. ამ სასტუმრო კომპლექსში მოწვეული იყვნენ უცხოელი ლექტორებიც, რომლებიც გვიკითხავდნენ ლექციებს, გვესაუბრებოდნენ ჩვენთვის საინტერესო თემებზე და იქიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე და კმაყოფილი დავბრუნდი.

– რამდენადაც ცნობილია, და-ძმამ ორივემ მომავალ პროფესიად მედიკოსობა აირჩიეთ და გუშინ (2 ივლისს) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მეორე გამოცდა ჩააბარეთ. რამ განაპირობა თქვენი ეს არჩევანი? ამაში ალბათ მშობლების პროფესიასაც მიუძღვის წვლილი?

– რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღებაში უფრო მათ მიუძღვით წვლილი. ხშირად გვიხდებოდა მშობლებთან სამსახურში ყოფნა და ალბათ სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა ამ ნაბიჯის გადადგმა. თუმცა, რომ გახდე პროფესიონალი, შენი საქმის მცოდნე ექიმი, ამას დიდი გარჯა და ძალისხმევა სჭირდება. ჩვენი მიზანიც ისაა, რომ გამოვიდეთ წარჩინებული, პროფესიონალი მედიკოსები და რა განხრის სპეციალისტიც არ უნდა ვიყოთ, გამოვადგეთ სამშობლოს, ჩვენს ხალხს.

– წარმატებული სტუდენტობა, ოცნებების ასრულება ვუსურვოთ ჩვენს „ოქრო-ვერცხლიან“ აბიტურიენტებს.

გივი დაბახიშვილი

ასპარტი თუ ნიჭი...

ბადრიმ დუტას გაკვირვება შეძლო

უკანასკნელ ხანს სატელევიზიო რეკლამა, რომელიც წარმოშობით გიორგიწმინდელი თბილისელის მანანა მამისაშვილის გამილიონერებას ატრიალებს, მართლაც რომ დაჩრდილა საგარეჯოელი ბადრი დრეიძის შოუ – „იღბლიან ბორბალში“ არნახულმა გამარჯვებამ. ვნებათაღელვა არ ცხრება, საგარეჯო ერთმანეთს ხომ ულოცავს ბადრის გამარჯვებას, მაგრამ მილოცვას მხოლოდ გამარჯვება არ ასხივოსნებს, აქ სხვა რამეც დევს – მოთამაშის მყისიერი პასუხი, თითქმის მიცემული მოსაფიქრებელი წამის გარეშეც კი. ყველას გვახსოვს თავად დუტა სხირტლაძის სიხარულით გაოგნებული სახე და ალბათ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა თავად ენაწყლიანი დუტა ისე გაყუჩდა, რომ ხმას ვეღარ იღებდა. სიამაყის ეს განცდა დუტასაც დიდხანს გაჰყვება და კახეთსაც...

ბადრი დრეიძემ 29 წელიწადი საგარეჯოს სახალხო თეატრსა და კულტურის სახლში იმუშავა სხვადასხვა სამუშაოებზე - დღეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია.

ბადრიმ 1993 წელს სერიოზულ ინტელექტუალურ თამაშში „ნადდი შოუ“ მიიღო მონაწილეობა. ამ შოუში ერთდროულად 5 გუნდი თამაშობდა, თითოეულ გუნდში 6-6 კაცი იყო. სატელევიზიო შოუში მონაწილეობის მიღება უცებ გადაწყვიტეს. ახლობლები იყვნენ – ბადრი, დათო კირვალიძე, ვანო თოლომაშვილი... ამ შოუში მონაწილეობდნენ ექიმების გუნდი „შავი ჭირის სადგური“, I არხის „მხოლოდ შენ ერთს“, „ცარიელი თავები“ და ბადრიმ და თავისმა გუნდმა გუნდს „დეზინფექცია“ დაარქვეს და არცთუ უსარგებლოდ. მათ მართლაც „დეზინფექცია“ ჩაატარეს და პირველ ადგილზე გავიდნენ – სუპერთამაში მოიგეს.

2002 წლის შემოდგომაზე კი ბადრიმ თავის მეგობრებთან, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მასწავლებლებთან მარადი ქურდოვანიძესთან, მანანა გილაშვილთან, ქეთინო ქვლივიძესთან ერთად საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ერუდიტთა კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. მათმა გუნდმა „მოაზროვნემ“ მართლაც რომ დიდ გამარჯვებას მიაღწია – I ადგილი. გუნდს სათავეში ბადრი დრეიძე ედგა. მაშინ ყველაზე საუკეთესო გუნდის კაპიტნად აღიარეს. აი, რა თქვა ამ

გამარჯვების შემდეგ ჟიურის თავმჯდომარემ ფსიქოლოგმა მანანა ჩაჩუამ: „ძალიან მომეწონა პირველ ადგილზე გასული გუნდის კაპიტანი ბადრი დრეიძე. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ადამიანი მთლიანობაში აღიქვამს მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემას და აქედან გამომდინარე, არ ხდება აზროვნების ბლოკირება. იმდენად თავისუფალი იყო იგი დაძაბულობისგან, რომ ფსიქიკაში არსებული ცოდნის მთელი რიგი მარაგი ასევე თავისუფლად მოედინებოდა“. ეს პროცესი ჩვენ ათი წლის შემდეგაც ვნახეთ ტელეეკრანზე.

დღეს (2 ივლისს) ბადრი დრეიძე ჩვენი, რედაქციის სტუმარია. დღეს განმეორებითი ჩვენებაა შოუს „იღბლიანი ბორბლის“, რომელშიც ბადრიმ საზღვარგარეთ (საგარაუდოდ ეგვიპტის, სადაც დისშვილ თორნიკესთან ერთად წავა) მოგზაურობის საგზური მოიპოვა. ინტერვიუ დაწყებული არ გვქონდა და დაიწყო სატელეფონო ზარები, დასკვნა ერთია – მთელი საგარეჯო განმეორებით უყურებდა ამ გადაცემას და ისევ ზოგი პირველად, ზოგი განმეორებით ულოცავდა ბადრის ამ გამარჯვებას, რომელსაც, როგორც წერილის დასაწყისშიც დავწერეთ – სიამაყე ახლდა...

ბადრი ჩვეული იუმორით ჰყვება ყველაფერს. მაგრამ ხაზს უსვამს, რომ განცდა, თავისებური მღელვარება ამ დროს მას ხელს არ უშლის აზროვნებაში – რაც ვიცი, ვიცი, მას ვერაფერი დამავიწყებს და ვერ შემაფერხებს აზროვნებაში, – მეუბნება ბადრი.

– ბადრი, გჯერა იღბალის?

– დიახ. იღბლიანი ვარ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ქუდბედიანი დავიბადე. ბებიაჩემი ირინა ჯაფარიძე იყო ბებია ექთანი, მან მიიღო ჩემი დაბადება და ალბათ სიყვარული სცენისაც მისგან გადმომეცა გენეტიკურად თუ დაბადებიდან. ქუდბედი გაურკვეველ მდგომარეობაში დავკარგე. მას შემდეგ ყველაფერი მირთულდება, ყველა საქმე ერთი-ორჯერ უნდა ვცადო და შემდეგ გამომდის კარგად. მაგალითად, დავამთავრე საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი და დიპლომის მიღების დღესვე ფატი ღვინიაშვილის რჩევით თეატრში როლის „გასინჯვაზე“ მოვხვდი, მას შემდეგ მიმდინარე წლის მარტამდე თეატრის სცენას აღარ მოვცილებივარ.

– ბადრი, შეკითხვას, რომელსაც შენ უპასუხე შოუში „იღბლიანი ბორბალი“ ერთი შეხედვით, ადვილია, მაგრამ ბევრმა არ იცოდა, რომ ორიგინალში კონკიას ქოში ბეწვისაგან იყო დამზადებული.

– მე ეს წაკითხული მქონდა ბავშვობაში. საგარეჯოს ბავშვთა ბიბლიოთეკა ისე მიყვარდა, რომ სულ ზეპირად ვიცოდი, რომელ თაროზე იდო ესა თუ ის წიგნი. ბიბლიოთეკარ კატო გოდერძიშვილისაგან მოცემული ამ უფლებით და ნდობით ყოველთვის ვსარგებლობდი.. ამიტომაც ყოველთვის ვამბობ, არ არსებობს ბავშვი, მოსწავლე, რომ იყოს ცუდი და ვერ ისწავლოს. ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ისწავლოს, იკითხოს წიგნები. კომპიუტერი კომპიუტერია, – ტექნიკის სასწაული, მაგრამ წიგნი სხვა რამეა. წიგნი მართლაც მეგობარია, შეუცვლელი და მარადიული. ამიტომაც იყო, რომ სწორედ წიგნიდან აღვიდგინე კონკიას ქოშის მასალაც. არის მასალა წიგნიდან, რომლებიც გვერდების მიხედვითაც კი მახსოვს. სწავლა არასოდეს არ არის გვიან. ჩემი მაგალითიდან გეტყვით. 20 წლისამ გადავწყვიტე თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება, 4 წელიწადი „ვიბრძოლე“, ხან 1 ქულა მაკლდებოდა, ხან ნახევარი. არ ვიცი რისი ბრალი იყო. მთელი ინსტიტუტი, რექტორიდან დაწყებული, სტუდენტით დამთავრებული, მიცნობდა. მიზანს მაინც მივაღწიე... ასე რომ მიუღწეველი არაფერია. ახლა 13 ივნისს თამაშზე ისეთი რწმენით წავედი, რომ უნდა გამემარჯვა. დარბაზში მყოფი საგარეჯოელი გულშემატკივრებიც ამას მიწინასწარმეტყველებდნენ. და რაც ძალიან მიხარია, არის ის, რომ თავად დარბაზი, ჩემთვის უცხო ხალხიც მილოცავდა მთელი სულით და გულით. მათაც ისე გაიზიარეს ჩემი სიხარული, როგორც ჩემმა გარეჯელებმა. მადლობა ყველას მოლოცვისა და მხარდაჭერისათვის.

ჩაიწერა თინა ილაურმა

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

ქარეჯის მაცნე

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com